

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 10

ქ. გარდაბანი

23 ოქტომბერი 2025 წელი 16 სთ.

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა ჩატარდა 2025 წლის 23 ოქტომბერს. კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის დაავალებით, კომისიის წევრებისათვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას უძღვება სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძე სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:

1. ლია მეტრეველი
2. მაია შამედოვა
3. ფლორა ასკაროვა
4. ზურაბი კორახაშვილი
5. მირზა მირზოევი
6. კამრან ბაბაევი

არ ესწრებოდა:

7. აკიფ ისმაილოვი
8. ვახუშტი აბულაძე
9. დავითი ებილაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასამტკიცებლად დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ.
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანისა და გიორგი მათიაშვილის დაჯილდოების შესახებ.
3. ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2025 წლის მესამე კვარტლის ანგარიში.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 7

წინააღმდეგი:

საკითხი: 1.

მოგახსენებთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციის შესაბამისად, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად შემოვიდა საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის 2025 წლის 6 ოქტომბრის №10-02 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2025 წლის 22-28 სექტემბერს, მალტაში გამართულ ევროპის კლასიკურ ჩემპიონატზე წოლჭიმში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა სოფიკო კვანჭიანმა, (პ.ნ:12701101157) 69 კგ. წონით კატეგორიაში - დიდებში, შედეგით 120 კგ. დაიკავა პირველი ადგილი და გახდა ევროპის ჩემპიონი, მისი მწვრთნელია შალვა აკოფაშვილი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2025 წლის 24 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 3000 (სამი ათასი) ლარისა, ხოლო მწვრთნელის - შალვა აკოფაშვილის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარისა - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის № 9 დადგენილების შესაბამისად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის 24 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისია მხარს უჭერს სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხის გატანას, შემდგომი განხილვის მიზნით, ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ პირველ საკითხს კენჭი უყარა - „ხართ თუ არა თანახმა, რომ პირველი საკითხი გავიდეს განსახილველად ბიუროს უახლოეს სხდომაზე“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

საკითხი: 2.

მოგახსენებთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციის შესაბამისად, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად შემოვიდა საქართველოს მკლავჭიდის ერთიანი ეროვნული ფედერაციის 2025 წლის 2 ოქტომბრის №224 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის 10 სექტემბრიდან 23 სექტემბრამდე, ბულგარეთში (ალბენაში) გამართულ 2025 წლის მკლავჭიდის მსოფლიო ჩემპიონატზე და პარა-ჩემპიონატზე, საქართველოს მკლავჭიდის ერთიანი ეროვნული ნაკრების სპორტსმენებმა გარდაბნის მუნიციპალიტეტიდან:

1. ლუკა კვანჭიანმა (პ.ნ.12701103013) 55 კგ. წონით კატეგორიაში 18 წლამდელებში, მარჯვენა ხელში დაიკავა პირველი საპრიზო ადგილი და მოიპოვა ოქროს მედალი, მარცხენა ხელში დაიკავა მეორე ადგილი და მოიპოვა ვერცხლის მედალი.

2. გიორგი მათიაშვილმა პარა-ნაკრები, მხედვ.კატეგორია, (პ.ნ. 12701104131) +100 კგ. წონით კატეგორიაში მარცხენა ხელში დაიკავა მესამე ადგილი და მოიპოვა ბრინჯაოს მედალი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2025 წლის 24 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 3 000 (სამი ათასი) ლარისა, ხოლო გიორგი მათიაშვილის შესაძლო დაჯილდოება არაუმეტეს 3 000 (სამი ათასი) ლარისა - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილების შესაბამისად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის 24 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისია მხარს უჭერს სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანისა და გიორგი მათიაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხის გატანას შემდგომი განხილვის მიზნით, ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მეორე საკითხს კენჭი უყარა - „ხართ თუ არა თანახმა, რომ მეორე საკითხი გავიდეს განსახილველად ბიუროს უახლოეს სხდომაზე“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

საკითხი 3.

მოგახსენებთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციის შესაბამისად, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში შემოვიდა ა(ა)იპ გარდაბნის

მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2025 წლის 22 ოქტომბრის №42 წერილი - ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2025 წლის მესამე კვარტლის ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ“ - განსახილველად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ, 2025 წლის 24 ოქტომბრის სხდომაზე მოისმინა და ცნობად მიიღო ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2025 წლის მესამე კვარტლის ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ“ (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მესამე საკითხს კენჭი უყარა - „ხართ თუ არა თანახმა, რომ მესამე საკითხი ცნობად იქნეს მიღებული“ .

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

კომისიამ დაადგინა:

საკითხი : 1.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხი გავიდეს ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

საკითხი 2.


გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანისა და გიორგი მათიაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხი გავიდეს ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

საკითხი: 3.

ცნობად იქნეს მიღებული ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2025 წლის მესამე კვარტლის ანგარიში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე:



თამარ ხაჩიძე



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი

№42

22 ოქტომბერი 2025წელი
გარდაბნის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ გედეხაურს

ბატონო მიხეილ,

გიგზავნით ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2025 წლის III კვარტლის ანგარიშს განხორციელებული საქმიანობის შესახებ დანართის შესაბამისად.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

ცენტრის დირექტორი:

ლევანი მენახშირიშვილი

გარდაბანი 1300; დ. აგმაშენებლის ქ. №70; ტელ: 595-39 93-90

Gardabani 1300; D.Agmashenebeli st. №70; Tel: 595-39-93-90

ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2025 წლის მესამე კვარტლის ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

სპორტული ცენტრი წლის დასაწყისში ამტკიცებს სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია წლის განმავლობაში ჩასატარებელი სამუშაოები. ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის ძირითადი მიზნებია: ახალგაზრდა თაობის სპორტული აღზრდა, ცენტრში რეგისტრირებულ სპორტსმენთა ხელშეწყობა და განვითარება. აღსაზრდელ სპორტსმენთა საწვრთნელ ბაზად ძირითადად წარმოდგენილია სპორტული დარბაზები, საფეხბურთო მოედნები და საჯარო სკოლების სპორტული დარბაზები.

სპორტულ ცენტრში ფუნქციონირებს სპორტის 16 სახეობა, ესენია: ძიუდო - 7 ჯგუფი; თავისუფალი ჭიდაობა - 6 ჯგუფი; ბერძნულ-რომაული - 3 ჯგუფი; ფეხბურთი - 12 ჯგუფი; კრივი - 5 ჯგუფი; ფარიკაობა - 1 ჯგუფი; კალათბურთი - 3 ჯგუფი; ჯიუ-ჯიცუ - 1 ჯგუფი; რაგბი - 2 ჯგუფი; მკლავჭიდი - 1 ჯგუფი; კიო-კუმინ-კარატე - 1 ჯგუფი; კიკ-ბოქსინგი - 2 ჯგუფი; ფრენბურთი - 1 ჯგუფი; მაგიდის ჩოგბურთი - 1 ჯგუფი; თავისუფალი და შერეული ორთაბრძოლები - 1 ჯგუფი; ტანვარჯიში - 1 ჯგუფი.

სულ: 48 ჯგუფი და 1940 სპორტსმენი.

სპორტული ცენტრი წლის დასაწყისში ამტკიცებს ღია პირველობების კალენდარს, სადაც გაწერილია ცენტრის მიერ სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩასატარებელი ღონისძიებები, რაც ძირითადად მოიცავს მათ საფინანსო და ორგანიზიულ უზრუნველყოფას. გაცნობებთ, რომ სპორტულ ცენტრს 2025 წლის მესამე კვარტალში ღონისძიება არ ჩატარებია.

ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრში დასაქმებულმა მწვრთნელებმა თავიანთ სპორტსმენებთან ერთად სპორტის სხვადასხვა სახეობის ღონისძიებებში მიიღეს მონაწილეობა და დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები:

1. 2025 წლის 30 ივნისი - 3 ივლისს, ქ.კაორლეში (იტალია) გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი 20 წლამდელთა შორის ბერძნულ-რომაულ სტილით ჭიდაობაში, სადაც ჩვენი სპორტული ცენტრის სპორტსმენებმა დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები:

მესამე ადგილი:

კობა ქარუმშიძე 55 კგ.

მწვრთნელი: იმედა ფრეწუაშვილი (სოფ.ნორიო)

საბა ფურცელაძე 130 კგ.

მწვრთნელი: გოდერძი ჯოხაძე (სოფ.მარტყოფი)

2. 2025 წლის 13 ივლისს, ქ.თბილისში გაიმართა "JR. NBA GEORGIA 2025" სადაც მონაწილეობა მიიღო 30-მა გუნდმა და ჩვენი სპორტული ცენტრის საკალათბურთო გუნდმა "მუხბე", B ლიგაში დაიკავა პირველი ადგილი მწვრთნელი: ირაკლი ჯანხოთელი (ქ.გარდაბანი)

3. 2025 წლის 15 ივლისს, ქ.ონში გაიმართა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის და სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის დავით გობეჯიშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, სადაც ჩვენი სპორტული ცენტრის სპორტსმენებმა დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები:

მესამე ადგილი:

გიორგი იაკობაშვილი 61 კგ.

გიორგი დალაქიშვილი 125 კგ.

მწვრთნელი: სოსო ივანიშვილი (სოფ.თელეთი)

4. 2025 წლის 30 ივლისი - 3 აგვისტოს, ქ.ვარშავაში (პოლონეთი) გაიმართა პოლონეთის ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც ჩვენი სპორტული ცენტრის სპორტსმენმა დაიკავა შემდეგი საპრიზო ადგილი:

მეორე ადგილი:

აივენგო რიკაძე 87 კგ.

მწვრთნელი: ირაკლი თარხნიშვილი (სოფ.სართიჭალა)

5. 2025 წლის 27 აგვისტო - 1 სექტემბერს, ქ.სოფიაში (ბულგარეთი) გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ბიუდოში ჯაბუკთა, შორის სადაც ჩვენი სპორტული ცენტრის სპორტსმენმა დაიკავა შემდეგი საპრიზო ადგილი:

მესამე ადგილი:

გიორგი ქარჩაიძე +90 კგ.

მწვრთნელი: ვალერიანე ლაფერიშვილი (სოფ.სართიჭალა)

6. 2025 წლის 10-14 სექტემბერს, ქ.მესტიაში გაიმართა ალიოშა ჯაფარიძის და ზურა ფალიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კრივში, სადაც ჩვენი სპორტული ცენტრის სპორტსმენებმა დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები:

პირველი ადგილი:

ემილ ისმაილოვი 50 კგ.

მწვრთნელი: ვუგარ მამედოვი (ქ.გარდაბანი)

მეორე ადგილი:

მარიამ კობაიძე 60 კგ.

მწვრთნელი: გოჩა მუშკუდიანი (სოფ.კრწანისი)

7. 2025 წლის 12-14 სექტემბერს, ქ.ხაშურში გაიმართა ხაშურის ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2009-2010 და 2011-2012 წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის, სადაც ჩვენი სპორტული ცენტრის სპორტსმენებმა დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები:

პირველი ადგილი:

დაჩი ყურფარაშვილი 41 კგ.

მესამე ადგილი:

გიორგი ნათოშაიძე 48 კგ.

გიგი ჯერანაშვილი 57 კგ.









მწვრთნელი: იმედა ფრეწუაშვილი (სოფ.ნორიო)

2025 წლის 23 ოქტომბერი

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე











დამსწრეთა ხელმოწერა

16. სთ.

1. თამარი ხაჩიძე 
2. ლია მეტრეველი 
3. მირზა მირზოევი 
4. კამრან ბაბაევი 
5. მაია შამედოვა 
6. დავითი ებილაშვილი 
7. ზურაბი კორახაშვილი 
8. აკიფ ისმაილოვი
9. ფლორა ასკაროვა 
10. ვახუშტი აბულაძე











კენჭისყრა საკითხებზე

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ.

№	გვარი სახელი	მომხრე	წინააღმდეგი
1	თამარ ხაჩიძე		
2	ლია მეტრეველი		
3	მირზა მირზოევი		
4	კამრან ბაბაევი		
5	მაია შამედოვა		
6	დავითი ებილაშვილი		
7	ზურაბი კორახაშვილი		
8	აკიფ ისმაილოვი		
9	ფლორა ასკაროვა		
10	ვახუშტი აბულაძე		










კენჭისყრა საკითხებზე

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანისა და გიორგი მათიაშვილის დაჯილდოების შესახებ.

№	გვარი სახელი	მომხრე	წინააღმდეგი
1	თამარ ხაჩიძე	ა, 	
2	ლია მეტრეველი		
3	მირზა მირზოევი		
4	კამრან ბაბაევი		
5	მაია შამედოვა		
6	დავითი ებილაშვილი		
7	ზურაბი კორახაშვილი		
8	აკიფ ისმაილოვი		
9	ფლორა ასკაროვა		
10	ვახუშტი აბულაძე		

კენჭისყრა საკითხებზე

ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2025 წლის მესამე კვარტლის ანგარიში.

№	გვარი სახელი	მომხრე	წინააღმდეგი
1	თამარ ხაჩიძე		
2	ლია მეტრეველი		
3	მირზა მირზოევი		
4	კამრან ბაბაევი		
5	მაია შამედოვა		
6	დავითი ებილაშვილი		
7	ზურაბი კორახაშვილი		
8	აკიფ ისმაილოვი		
9	ფლორა ასკაროვა		
10	ვახუშტი აბულაძე	